

აქტინიდიის გამოყენების შესაძლებლობა მედიცინაში

ვალერიან ცანავა - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ინგა ბაფრინაშვილი - ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
ზურაბ ძნელაძე - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი
უუუუნა მურცხალაძე - ასპირანტი
ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება

უკანასკნელ წლებში საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და ფართო გავრცელება ჰპოვა ჩინურმა აქტინიდიამ (კივი), თუმცა მის სამრეწველო გადამუშავებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. აღნიშნული მცენარის ნაყოფის წვენი უძველესი დროიდან გამოიყენებოდა რიგი დაავადებისა, მათ შორის კიბოს პროფილაქტიკისათვისაც. აქტინიდიის ნაყოფები ხასიათდება მწვანე, არომატული რბილობით და წვნიანი, სასიამოვნო ტკბილი გემოთი. ეს თვისებები შესაძლებლობას ქმნის, რომ იგი გამოყენებულ იქნას პირდაპირი მოხმარების პროდუქტად, ან მისგან დამზადებულ იქნას სხვადასხვა სახის, ხანგრძლივი შენახვის ახალი პროდუქტები, კერძოდ წვენები, მურაბები, კომპოტები, უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელები. აქტინიდიის ნაყოფები და ფოთლები მდიდარია ადამიანის ორგანიზმზე დადებითად მოქმედი ისეთი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, როგორიცაა - ნახშირწყლები, პეტინოვანი ნივთიერებანი, ორგანული მჟავები, მთრთილავი ნივთიერებანი, სხვადასხვა სახის ვიტამინები, ნაყოფში აგრეთვე აღმოჩენილია იოდის შემცველობა (2,3). აღნიშნულ ნივთიერებათა შემცველობამ განაპირობა ამ პროდუქტის პოპულარობა მსოფლიოს ხალხთა შორის. მოცემულ ნაშრომში ნაჩვენებია კვლევის შედეგები აქტინიდიის ნაყოფებსა და ფოთლებში იოდის შემცველობის დადგენისათვის.

განსაზღვრის შედეგები მოცემულია ცხრილ №1-ში

იოდის შემცველობა აქტინიდიის ნაყოფსა და ფოთლების წყალხსნარში

ცხრილი N1	
ნიმუშების დასახელება	იოდი მკგ/100გ
აქტინიდიის ნაყოფი	24,0
აქტინიდიის ფოთოლი	71,0

ცხრილი №1-დან ჩანს, რომ როგორც ნაყოფი, ასევე ფოთლები საკმაო რაოდენობით შეიცავს იოდს. ფოთლებში მისი შემცველობა თითქმის 3-ჯერ მეტია. იოდის განსაზღვრა ორთავე ნიმუშში წარმოებდა ნიმუშებიდან მიღებულ წყალხსნარში. იოდის შემცველობა შესწავლილ იქნა იგივე ნიმუშების სპირტხსნარში. შედეგები მოტანილია №2 ცხრილში.

იოდის შემცველობა აქტინიდიის ნაყოფებსა და ფოთლების სპირტხსნარში

ცხრილი N2	
ნიმუშების დასახელება	იოდი მკგ/100გ
აქტინიდიის ნაყოფი	16,0
აქტინიდიის ფოთოლი	60,0

№2 ცხრილიდან ჩანს, რომ საკვლევი ნიმუშების სპირტხსნარში, ისევე როგორც წყალხსნარი შეიცავს იოდს. იოდის შემცველობის რაოდენობრივი თანათარდება ნაყოფებსა და ფოთლებში თითქმის ისეთივეა, როგორც ცხრილ №1-ში.

განსხვავება იმაშია, რომ როგორც ნაყოფების, ისე ფოთლების წყალხსნარი მეტი რაოდენობით შეიცავს იოდს, ვიდრე იგივე ნიმუშების სპირტხსნარი. აღნიშნული მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ იოდი ნაყოფებსა და ფოთლებში იმყოფება არა თავისუფალ, არამედ შეკავშირებულ მდგომარეობაში.

ჩატარებული კვლევა და მიღებული მონაცემები იძლევა იმის საფუძველს, რომ დავასკვნათ სხვა დადებითი თვისებებთან ერთად აქტინიდიის ნაყოფები შეიძლება გამოყენებულ იქნას რესპუბლიკაში ჩიყვის საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ საშუალებად, ხოლო მცენარის ფოთლებიდან, როგორც იოდის მაღალი შემცველობის მქონე ნედლეულიდან, დამზადებულ იქნას სხვადასხვა ახალი სახის კვების პროდუქტები, რომლებიც ასევე გამოყენებულ იქნება, როგორც ფართო მოხმარებისათვის, ისე სამკურნალო პროფილაქტიკური დანიშნულებისათვის.

Возможность использования актинидии в медицине

Валериан Цанава - академик Академии сельскохозяйственных наук Грузии
Инга Гафриндашвили - кандидат технических наук
Зураб Дзнеладзе - доктор технических наук
Жужуна Мурцхаладзе - аспирант

Научно-производственное объединение чая, субтропических культур и чайной промышленности.

Резюме

Автором статьи установлено высокое содержание иода как в водном, так и в спиртовом растворах плодов и листьев актинидии. Полученные данные позволяет автору предположить использовать в медицине как профилактическое средство при заболевании шитовидной железы плоды и листья (как "сырье", богатое иодом, для производства новых видов продуктов) актинидии.

The possibility of Actinidia utilization in medicine

Valerian Tsanava - academician of The Academy of Agricultural Sciences
Inga Gaprindashvili - candidate of technical sciences
Zurab Dzneldze - doctor of technical sciences
Zhuzhuna Murtskhaladze - postgraduate

Scientific-Research Institute of Tea, Subtropical Crops and Tea Industry

Summary

It has been determined the iodine content in Actinidia leaves and fruit this gives the possibility to provide children's and diet products on the basis of Actinidia fruit and leaves, that may be for treating endemic goitre sick children.

ლიტერატურა

1. გ. ჩხაიძე - „სოფლის მეურნეობის კულტურები“. თბილისი, 1966 წ.
2. ვ. კუცუბიძე, გ. სარჯველაძე - „აქტინიდა პერსპექტიული კულტურა, საბჭოთა სუბტროპიკებისათვის“. „სუბტროპიკული კულტურები“ 1988 წ. №5
3. ვ. გაფრინდაშვილი - „საბავშვო და დიეტური ჩაის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური რეგლამენტების გამოცდვა“, სადისერტაციო მაცნე.